

ისე ვით კანტი

ისე, ვით კანტი, ეძებდა აზრში
ჰეშმარიტებას, როგორც პიარში,
მეც ისე ველი პოეტურ ხატში
და სიმაღლეებს პოეზიაში.

ისე ვით კანტმა, დაწერა წიგნი
დასტურ “კრიტიკა წმინდა გონების”,
გეძებ პოეტურ ხილვების შიგნით
საწყისს პოეტურ ზეშთაგონების.

და როგორც კანტი უტევდა ბნელეთს,
მეც ვბაძავ კანტს და მის გზას მდელვარეს.
მეც მზეს შევტრფი და მზიან ხმელეთს
და პოეზიის მაღალ მწვერვალებს.

08.09.2007

მილოცვა (ჯანსუდ კორძაია 75 წლის შესრულდა)

“.... ეს ფიქრი ჩემი ყოფნის წესია... ”

“ხელოვნება და მეცნიერება ეს ის სიტყვებია, რომელთაც ხშირად ხმარობენ და იშვიათად ვინმებ თუ იცის ზუსტი განსხვავება, ზოგი კიდევ ერთის ნაცვლად მეორეს ამბობს” – წერდა გოეთე. მაგრამ ხშირად ერთ სულიერ კალაპოტში მოქცეული ორივე სფერო დაიპყრობს ადამიანის სულსა და გონებას და თავის მსახურად აქცევს.

ჩვენი დღევანდელი იუბილარი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი და პოეტი ჯანსუდ კორძაია, 75 წლის შესრულდა და ვულოცავთ მას ამ თარიღს. ბატონი ჯანსულის მოღვაწეობა წლების მანძილზე დაკავშირებული იყო საქართველოს განათლების სამონისტროსთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან, ავტორის “რჩეულ ფილოსოფიურ ნარკევებში”, რომელიც 2005 წელს გამოიცა (თსუ-მ) განხილულია საინტერესო საკითხები: “ჰქეშმარიტების დაფუძნების პრობლემის საზრისის შესახებ,” “პრაქტიკის პრობლემის ზოგიერთი ასპექტის შესახებ,” “ჰქეშმარიტების დაფუძნების პრობლემის გადაწყვეტისათვის” და სხვა... მას 100-ზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. ჯანსუდ კორძაიას დიდი წვლილი აქვს შეტანილი კულტურის ფილოსოფიაში.

ჯანსუდ კორძაიას ეკუთვნის მარქსიზმის იმ ნაწილის კრიტიკა, რომელსაც “ისტორიული მატერიალიზმი” პქვია; რაც შეეხება შემოქმედებით სფეროს, ის ორი რომანის: “სიკვდილის გენეზისის”, “ადამიანების” და ათზე მეტი პოეტური კრებულის, მათ შორის “ შენ უკვე შენ ხარ”, “ეს საუკუნეც”, “ჯერ მხოლოდ ერთხელ”, “კვლავ ვიბადები”, “იმ დღეების ქრონიკა”, “შემოდგომა”, “ბალადა გია აბესაძეზე”, “აზრის მონოლოგები” და ბოლოს 2007 წელს გამოცემული კრებულის “შვიდფერი სიმფონიის ფრაგმენტის” ავტორია.

ემოცია, სითბო და სულიერი ენერგია სწორედ პოეზიით შეიძლება გახდეს ყველაზე მეტად საჩინო და საცნობი ადამიანისთვის. ამიტომ, მოდით, ყური მიგუადოთ ავტორის სტრიქონებს:

“შენ გრძნობ და იცი.... და ითვლი წამებს,
ითვლი და უცდი ჩემს ნაჩურჩულევს,
იდუმალია ეს ბნელი დამა,
ლოდინით სავსე—შენ და სიჩუმე”

(გვ. 25. “შვიდფერი სიმფონიის ფრაგმენტი”)

სატრიულო თემას მრავალგვარი ხასიათის ლექსი ეძღვნება ქართულ და არ მარტო ქართულ პოეზიაში; ხშირად ტრაგიზმი, უიმედობა და სასოწარკვეთა მუქი ახრდილებივით აედევნება სტრიქონს და მიგაქანებს უსასო ყოფისკენ; მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტი იმედით გვაგსებს, მოაქვს მას საკუთარ თაგში ნაპოვნი ძლიერების მიერ მონიჭებული სიმშვიდე, რომელიც “გადამდებია” და მოსალოდნელი სიხარულისა და ადამიანური დღესასწაულისთვის გვამზადებს:

“....და ბნელ დამეში ლანდი დაგრიშის,
სულში მწვდება და მიჭერს მარწუხებს,
ერთი წამიც და გულს გადაგიშლი
და ისიც ვიცი, რას მიპასუხებ,”

(გვ. 25. იქვე)

პოეტს ჩამოყალიბებული მოქალაქეობრივი პოზიცია აქვს. მესსიერებაში აღბეჭდილი სამშობლოსთან დაკავშირებული თითოეული შტრიხი: მცხეთა,

“თმოგვის ბჭეები”, “მზისფერი გელათი” “ნარიყალას სიმაღლეები”, “ზედაზნის მთები”, მის გულში ჩუქურთმებად ჩარჩენილი ტკივილებია. აქვე მინდა მოვიგონო ლექსი: “ეკლესიის კედელზე ამოტვიფრული სტრიქონები ჯალალედინის შემოსევის შემდეგ”.

“ერთს გევედრებით მზის სხივი
ჩვენსკენაც გადმოაცოცო,
ვაჟპაცი საქართველოში
სიკვდილის დღემდე აცოცხლო!”
(გვ. 30. “შვიდფერი სიმფონიის ფრაგმენტი”)

საქართველოს ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, ერთნაირად საინტერესოა ავტორისათვის. “თუ რამ მიშველის, ახლა ამ წუთში\მხოლოდ გელათის ზეცა მიშველის” – ამბობს პოეტი და სწორედ ამ ზეცისგან ელოდება “რაღაც მთავარს და საგანგებოს”.

მიუყვება ჯანსუდ კორძაია ამ წუთისოფელს, ყოველ მნიშვნელოვან ფასეულობაზე ჩაფიქრებული; ყურს უგდებს “დაუსრულებელ ძიებაში” მყოფი ამ საუკუნის გულისფერქვას, რომელიც მისი აზრით “ჯვარცმის გზაზე” მიაბიჯებს.

საინტერესოა უზენაესთან დაკავშირებული პოეტური მიგნებაც, სადაც ავტორი ლადად გვიდასტურებს უფლისმიერ სიმართლეს:

“ყველაზე დიდი არგუმენტი,
რომ ღმერთი არის,
ეს ისაა, რომ
შენ არსებობ, ადამიანო.”
(გვ. 16. იქვე)

ლექსებში უამრავი მშვენიერი მხატვრული სახეა. ისინი ციცინათელებივით ანათებენ შემოქმედის ნაფიქრალის კვალდაკვალ. “ცრემლად გაბრწყინებული” “ჯვარცმულის თვალზე” ავტორი “სიკვდილის შემდეგ” სიცოცხლის მარადიულობას ადასტურებს....

ჩვენი მილოცვა დიტერატურულ განხილვას რომ არ დაემსგავსოს, მინდა ორი სიტყვით ბატონი ჯანსუდის პირვნულ პორტრეტსაც შევვხო. ის გახლავთ მშვენიერი ქალბატონის მეუდლე და ორი კარგი ვაჟკაცის გამზრდელი მამა, რომელთაც დირსევული ქალბატონები აურჩევიათ ცხოვრების მეგზურებად. იუბილარი ოთხი შვილიშვილის ბაბუაა.

ვინც ჯანსუდ კორძაიას იცნობს, ალბათ ყველას შეუძლია აღნიშნოს, რომ ის გახლავთ ჩვენი ქვეყნის დირსევული მოქალაქე, და რაც მთავარია სიკეთით სავსე, მარად გულანთებული კაცი.

“ვცოცხლობთ! კვლავ ვცოცხლობთ და ამაღლება
გეზღო მახვილით და ლექსით ჯვარცმით,
ვცოცხლობთ იმ ცეცხლის გამოცხადებად,
ცეცხლის, რისგანაც ვიშვით და გავჩნდით”.
(გვ. 6. იქვე)

ქეთევან შენგელია